

სს „კავკაზ ცემენტი“

კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის

ანგარიშგებები

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. წინა პერიოდის კორექტირებები/შეცდომები	7
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	12
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	16
6. ამონაგები რეალიზაციიდან	16
7. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	16
8. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი	17
9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	17
10. ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება	18
11. არამატერიალური აქტივები	19
12. სასაქონლო მატერიალური მარაგები	19
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20
14. ფული და ფულის ეკვივალენტები	20
15. კაპიტალი	20
16. მიღებული სესხები	21
17. საგადასახადო ვალდებულებები	21
18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22
19. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	22
20. პირობითი ვალდებულებები	22
21. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები	22

მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	24
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	25
3. სუბიექტის განვითარების გეგმები	26
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	26
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	26
6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები	26
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	26

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს “კავკაზ ცემენტი“-ის ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ სს “კავკაზ ცემენტი“-ის და მისი შვილობილი საწარმოების (ჯგუფის) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგის გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარისგან დასტურის წერილები და ვერც ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებით შევძელით მიგვეღო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთის სისრულესა და სიზუსტეზე 2021 წლის 31 დეკემბრის 2020 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შემთხვევაში 7,843, 8,263 და 7,328 და სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში 7,698, 7,294 და 8,267 ათას ლარს. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

ჩვენ არ დავსწრებივართ მარაგების ინვენტარიზაციას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აუდიტორებად დავინიშნეთ ამ თარიღის შემდგომ. სააღრიცხვო ჩანაწერების სპეციფიკიდან გამომდინარე, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება მარაგების რაოდენობრივ სიზუსტეზე, შესაბამისად ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ მარაგებთან მიმართებაში.

ჯგუფს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი აქვს მანქანა-დანადგარები ღირებულებით 6,047 ათასი ლარი და სატრანსპორტო საშუალებები 3,075 ათასი ლარი. ჩვენ ვერ შევძელით შერჩევითი ფიზიკური დათვალიერების გზით მოგვეპოვებინა საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულება შესაბამისი აქტივების არსებობასა და რაოდენობრივ სისწორეზე. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარისგან დასტურის წერილები და ვერც ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებით შევძელით მიგვეღო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები მიღებული სესხების სისრულესა და სიზუსტეზე 2021 წლის 31 დეკემბრის, 2020 წლის ჯგუფს 31 დეკემბრის და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს შესაბამისად 31,149, 32,004 და 27,327 ათას ლარს. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში

ჯგუფმა 2016 წელს შეიძინა 60% წილი შპს „ჯორჯიან ბილდინგ გროუპ“-ში, აღნიშნულ მომენტში ჯგუფს არ განუხორციელებია შვილობილი საწარმოს აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებებით შეფასება საწარმოთა გაერთიანების შედეგის ასახვად. შედეგად, იდენტიფიცირებული აქტივები და ვალდებულებები ასახულია თვითღირებულებით რაც წარმოადგენს მსს ფასს-ის მე-19 განყოფილების,, საწარმოთა გაერთიანება და გუდვილი“ მოთხოვნებიდან გადახვევას. ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა აღნიშნული უზუსტობის ეფექტი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

როგორც ეს მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მესამე შენიშვნაში წინა პერიოდის შეცდომების გასწორებასთან ერთად, შესაბამის პერიოდებში გაუქმებულია ძველი პერიოდის ისეთი კორექტირებები, რომელზეც არ არსებობდა შესაბამისი საფუძველი. ეს კორექტირებების შესაბამის პერიოდებზე წარდგენილია მესამე შენიშვნაში ცალკე გრაფაში როგორც წინა საანგარიშგებო პერიოდის კორექტირებების გაუქმება. ჩვენ ვერ დავრწმუნდით, რომ ფინანსური ანგარიშგების მესამე შენიშვნაში წარდგენილი წინა საანგარიშგებო პერიოდის კორექტირებების გაუქმების ეფექტის ასახვა მოხდა მსს ფასს-ის მოთხოვნების შესაბამისად 2020 წლის საწყის ნაშთებში და 2020 წლის შედეგებში. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე კორექტირებების შეტანა.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - *“აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”* - ნაწილში. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოებები

ჩვენ 2021 წლის აუდიტის ფარგლებში აგრეთვე ჩავატარეთ ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში აღწერილი შესწორებების აუდიტიც, რომლებიც განხორციელდა 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების შესწორებისათვის. ჩვენი აზრით მსგავსი შესწორებები მიზანშეწონილია და სწორად არის გაკეთებული, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველში აღწერილი საკითხისა. ჩვენ არ დავუნიშნევართ კომპანიის 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, მიმოხილვის ან მასზე რაიმე პროცედურების ჩასატარებლად, გარდა აღნიშნული შესწორებებისა და, შესაბამისად, ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას ან რაიმე სხვა სახის რწმუნებას მთლიანად 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა გარემოებები

ჯგუფის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც არამოდიფიცირებული მოსაზრება გამოთქვა ამ ანგარიშგების შესახებ 2022 წლის 31 იანვარს.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 23-27 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა ჯგუფს განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;

- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

14 დეკემბერს, 2022

თბილისი, საქართველო

- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძველად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)



ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

14 დეკემბერს, 2022

თბილისი, საქართველო

სს „ავკაზ ცემენტი“

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2021	2020 (გადაანგარიშებული)
ამონაგები რეალიზაციიდან	6	55,963	54,417
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	7	(45,308)	(42,466)
საერთო მოგება		10,655	11,951
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი	8	(5,544)	(6,316)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	9	(3,871)	(3,913)
სხვა საოპერაციო წმინდა შემოსავალი/(ხარჯი)		(171)	(69)
საოპერაციო მოგება		1,069	1,654
ფინანსური შემოსავალი		4	7
ფინანსური ხარჯი	10	(2,378)	(2,471)
საკურსო მოგება/(ზარალი)		1,740	(4,172)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		435	(4,983)
მოგების გადასახადის ხარჯი		(143)	(84)
წლის სრული მოგება/(ზარალი)		292	(5,067)
წლის სრული შემოსავალი მისაკუთვნიებელი			
სათაო საწარმოს მესაკუთრეებზე		(718)	(6,105)
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		1,010	1,038
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		292	(5,067)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 14 დეკემბერს:

ანდრო ბიბილეიშვილი
დირექტორი

სს „პავკაზ ცემენტი“

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2021	2020 (გადაანგარიშებული)
ამონაგები რეალიზაციიდან	6	55,963	54,417
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	7	(45,308)	(42,466)
საერთო მოგება		10,655	11,951
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი	8	(5,544)	(6,316)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	9	(3,871)	(3,913)
სხვა საოპერაციო წმინდა შემოსავალი/(ხარჯი)		(171)	(69)
საოპერაციო მოგება		1,069	1,654
ფინანსური შემოსავალი		4	7
ფინანსური ხარჯი	10	(2,378)	(2,471)
საკურსო მოგება/(ზარალი)		1,740	(4,172)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		435	(4,983)
მოგების გადასახადის ხარჯი		(143)	(84)
წლის სრული მოგება/(ზარალი)		292	(5,067)
წლის სრული შემოსავალი მისაკუთვნილებელი			
სათაო საწარმოს მესაკუთრეებზე		(718)	(6,105)
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		1,010	1,038
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		292	(5,067)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 14 დეკემბერს:


ანდრო ბიბილოშვილი
დირექტორი

სს „ავაკაზ ცემენტი“

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2020 (გადაანგარიშებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	11	25,191	27,522	29,902
არამატერიალური აქტივები	12	427	445	589
სულ გრძელვადიანი აქტივები		25,618	27,967	30,491
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	13	2,215	2,117	2,118
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	7,698	7,294	8,267
გაცემული სესხები		178	148	277
ფული და ფულის ეკვივალენტები	15	865	2,159	1,262
სულ მიმდინარე აქტივები		10,956	11,718	11,924
სულ აქტივები		36,574	39,685	42,415
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	16	32,497	32,497	32,497
სხვა კაპიტალი	16	(1,032)	(1,032)	(1,032)
კაპიტალში კონტრიბუცია	16	5,077	5,077	5,077
გაუნაწილებელი ზარალი	16	(53,031)	(52,313)	(46,208)
სულ მფლობელის კაპიტალი		(16,489)	(15,771)	(9,666)
არამაკონტროლებელი წილი	16	7,927	9,038	8,260
სულ კაპიტალი		(8,562)	(6,733)	(1,406)
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	17	30,923	33,147	32,374
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		30,923	33,147	32,374
მიმდინარე ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები	18	1,447	1,258	1,298
მოკლევადიანი სესხები	17	3,488	3,558	2,426
გადასახდელი დივიდენდები	16	1,435	192	395
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	7,843	8,263	7,328
სულ მიმდინარე ვალდებულებები		14,213	13,271	11,447
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		36,574	39,685	42,415

სს „კავკაზ ცემენტი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	სხვა კაპიტალი	დაგროვ ილი ზარალი	კაპიტალში კონტრიბუ ცია	სულ მფლობელი ს კაპიტალი	არამაკონტრ ოლებელი წილი	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2020 (გადაანგარიშებული)	32,497	(1,032)	(46,208)	5,077	(9,666)	8,260	(1,406)
წლის სრული ზარალი	-	-	(6,105)	-	(6,105)	1,038	(5,067)
დივიდენდის გამოცხადება	-	-	-	-	-	(260)	(260)
31 დეკემბერი 2020 (გადაანგარიშებული)	32,497	(1,032)	(52,313)	5,077	(15,771)	9,038	(6,733)
წლის სრული მოგება	-	-	(718)	-	(718)	1,010	292
დივიდენდის გამოცხადება	-	-	-	-	-	(2,121)	(2,121)
31 დეკემბერი 2021	32,497	(1,032)	(53,031)	5,077	(16,489)	7,927	(8,562)

სს „კავკაზ ცემენტი“

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2021	2020 (გადაანგარიშებული)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:		
წლის სრული მოგება/(ზარალი)	292	(5,067)
შესწორებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	2,638	2,683
ფინანსური ხარჯი	2,378	2,471
ფინანსური შემოსავალი	(4)	(7)
მოგების გადასახადის ხარჯი	143	84
უიმედო და საექვო ვალების რეზერვის ზრდა	(205)	26
საქონლის გაუფასურება და დანაკლისი	197	550
საკუროსო მოგება/(ზარალი)	(1,740)	4,172
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები სამუშაო კაპიტალში მომხდარ ცვლილებებამდე	3,699	4,912
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები საქონელში	(295)	(549)
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებებში	(208)	967
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებებში	(183)	362
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	189	(40)
ცვლილებები დივიდენდის ვალდებულებებში	1,243	(203)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	4,445	5,449
მოგების გადასახადი	(143)	(84)
გადახდილი პროცენტი	(407)	(625)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	3,895	4,740
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(185)	(173)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(104)	14
გაცემული სესხები	(30)	129
საინვესტიციო აქტივობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(319)	(30)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
აღებული/(დაფარული) სესხი	(2,751)	(3,506)
გადახდილი დივიდენდი	(2,121)	(260)
მიღებული პროცენტი	4	7
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(4,868)	(3,759)
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)	(1,292)	951
ფული და ფულადი ნაკადები პერიოდის დასაწყისში	2,159	1,262
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	(2)	(54)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	865	2,159

5-22 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

სს „კავკაზ ცემენტი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

სს „კავკაზ ცემენტი“ (შემდგომში კომპანია) როგორც სააქციო საზოგადოება, დაარსდა საქართველოში 2008 წლის 15 მაისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 205253928.

ძირითადი საქმიანობა. ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ცემენტის, ბეტონის და ინერტული მასალების წარმოება, მათი რეალიზაცია საბითუმო და საცალო მოვაჭრეებზე.

ჯგუფი წარმოებისთვის ფლობს ქარხნებს, ქარხნები განთავსებულია ავჭალის, მუხრანისა და კახეთის გზატკეცილის ლოკაციებზე. ყველა ტიპის ცემენტი იწარმოება ავჭალაში. ბეტონის მიწოდება ხორციელდება ავჭალისა და კახეთის გზატკეცილის ქარხნებიდან. ინერტული მასალები იწარმოება მუხრანში.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, კეკელიძის ქ., 13 კომპანიის სათაო ოფისი და საქმიანობის ადგილი არის საქართველო, თბილისი, ელევთერ ანდრონიკაშვილის 29

ჯგუფის სტრუქტურა. კომპანიის შვილობილებს წარმოადგენენ შემდეგი საწარმოები (ერთად „ჯგუფი“):

შვილობილი კომპანია	საქმიანობის სახე	2021	2020	2019
შპს ჯორჯიან ბილდინგ გროუფ	ცემენტისა და ბეტონის წარმოება/რეალიზაცია	60%	60%	60%
შპს კავკაზ ცემენტი ჯორჯია	ინერტული მასალების ამოღება/რეალიზაცია	100%	100%	100%
შპს სურამის ქვიშა	უმოქმედო	100%	100%	100%
შპს კავკაზ ცემენტი ვესტ	უმოქმედო	16.74%	100%	100%
შპს თბილცემენტი	უმოქმედო	61.8%	61.8%	61.8%

კომპანიის მეწილეები: კომპანიის მესაკუთრეთა წილობრივი სტრუქტურა ანგარიშგების თარიღისათვის, ისევე როგორც ანგარიშგების გამოცემის თარიღისათვის არ შეცვლილა და იყო შემდეგი:

აქციონერები	2021	2020	2019
შპს "ანოდაინ ჰოლდინგ ელ.ელ.სი."	87.07%	87.07%	87.07%
სს კავკაზ ცემენტი (სახაზინო აქციები)	6.66%	6.66%	6.66%
ხუნწარია ირაკლი	3.34%	3.34%	3.34%
ტაბატაძე ნიკა	0.49%	0.49%	0.49%
როდბიენკო პოლ	1.56%	1.56%	1.56%
ტაბატაძე სოფიო	0.49%	0.49%	0.49%
ბიბილეიშვილი ანდრო	0.39%	0.39%	0.39%
დენის კარლ პრაისი	0.0015%	0.0015%	0.0015%
სულ	100.00%	100.00%	100.00%

სს „კავკაზ ცემენტის“ საბოლოო მაკონტროლებელი პირი არის იან ჰეიგი (87%).

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება პირველი წლიური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ჯგუფის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2020 წლის 1 იანვარი. მსს ფასს-ით მოითხოვება 2021 წლის 31 დეკემბერს მოქმედი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების რეტროსპექტიული გამოყენება საწყისი, მსს ფასს-თან შესაბამისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისთვის 2020 წლის 1 იანვრისთვის და ყველა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში, რომელიც წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის პირველადი გამოყენება. მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე ჯგუფმა მოამზადა ანგარიშგება განსხვავებული კონცეპტუალური საფუძვლების გამოყენებით. კერძოდ, ანგარიშგება მომზადდა, ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები) შესაბამისად. კომპანიის ოპერაციების კომპლექსურობის ხარისხის და ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიზნებიდან გამომდინარე, მენეჯმენტს მიაჩნია, რომ მსს ფასს-ით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება საკმარისი და რელევანტურია.

ქვემოთ წარმოდგენილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლების ცვლილების ეფექტი საკუთარი კაპიტალის ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით:

	31 დეკემბერი 2020	1 იანვარი 2020
წარდგენილი კაპიტალი სრული ფასს-ებით მომზადებულ		
საკუთარი კაპიტალის ანგარიშგებაში	89,011	75,717
მოთხოვნების გუფასურების ხარჯი მსს ფასს-ის შესაბამისად	(95)	(371)
მსს ფასს-ებით მომზადებული საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება	88,916	75,346

ქვემოთ წარმოდგენილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლების ცვლილების ეფექტი 2019 წლის მოგება ზარალის ანგარიშგებაზე:

ზარალი სრული ფასს-ებით მომზადებულ ანგარიშგებაში	12,415
მოთხოვნების გუფასურების ხარჯის ცვლილება	276
მსს ფასს-ებით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შედეგი	12,691

ცხრილში წარმოდგენილია მხოლოდ წარდგენის ცვლილებებით გამოწვეული კორექტირებები და შესაბამისად არ მოიცავს წინა პერიოდების გადაანგარიშების შედეგად ასახულ კორექტირებებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

კონსოლიდაციის საფუძველი. წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით; 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ამავე პერიოდის ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

შვილობილი კომპანიები. შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დაშვების უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმის დემონსტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს.

ჯგუფი ასახავს საწარმოთა გაერთიანებას შეძენის მეთოდით, როცა კონტროლის უფლება გადმოდის ჯგუფზე. შეფასებული გადაცემული კომპენსაცია ზოგადად საჭიროებს სამართლიანი ღირებულებით შეფასებას, ისევე როგორც შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ელიმინირებულია შიდა ჯგუფური ნაშთები და ოპერაციები, ასევე, ყველა არარეალური შემოსავალი და ხარჯი, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში შემავალ საწარმოთა შორის განხორციელებულ ოპერაციებთან. არამაკონტროლებელი წილი დგინდება შეძენის თარიღისთვის შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების პროპორციულად.

3. წინა პერიოდის კორექტირებები/შეცდომები

წინა პერიოდის შეცდომები არის საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებული უზუსტობა ან ელემენტების გამოტოვება, წარმოქმნილი ერთი ან რამდენიმე პერიოდის წინ იმის გამო, რომ ვერ იქნა ან არასწორად იქნა გამოყენებული საიმედო ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო, როცა შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ნებადართული იყო საჯარო გამოქვეყნებისათვის და მართლზომიერად მოსალოდნელი იყო, რომ მოძიებული და გათვალისწინებული იქნებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს.

გასული პერიოდების შეცდომების გასწორება:

ინვესტიციები მეკავშირე კომპანიებში - გამოსყიდული სახაზინო აქციებით სხვა კაპიტალის აღიარება 1,032 ლარის ეფექტით 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

სესხები - დამფუძნებლისგან მიღებული სესხის საბალანსო ღირებულებასა და სესხის დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობის ასახვა 30,544 ლარის ეფექტით 2020 წლის 1 იანვარს. 2020 წლის საპროცენტო ხარჯის და საკურსოს სხვაობის ეფექტის შესაბამისი კორექტირება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები - მოთხოვნების გაუფასურების ხარჯის დარიცხვა, 371 ლარის ეფექტით 2020 წლის 1 იანვარს და 95 ლარის ეფექტით 2020 წლის 31 დეკემბერს. აღნიშნული სრულად წარმოადგენს ახალ სტანდარტზე გადასვლის ეფექტს.

ძირითადი საშუალებები - ცვეთის ხარჯის დარიცხვა, 300 ლარის ეფექტით 2020 წლის 31 დეკემბერს.

არამატერიალური აქტივები - ამორტიზაციის ხარჯის დარიცხვა, 21 ლარის ეფექტით 2020 წლის 1 იანვარს და 1 ლარის ეფექტით 2020 წლის 31 დეკემბერს.

საგადასახადო ვალდებულებები - საგადასახადო ვალდებულების კორექტირება შემოსავლების სამსახურის ბარათის საფუძველზე 81 ლარის ეფექტით 2020 წლის 31 დეკემბერს.

სს „კავკაზ ცემენტი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. წინა პერიოდის კორექტირებები/შეცდომები (გაგრძელება)

	1 იანვარი 2020	წინა საანგარიშგებო პერიოდის კორექტირებების გაუქმება	გასული პერიოდების შეცდომების გასწორება	სტანდარტზე გადასვლის ეფექტი	რეკლასიფიკაცია	1 იანვარი 2020 (გადაანგარიშებული)
აქტივები						
გრძელვადიანი აქტივები						
ძირითადი საშუალებები	29,167	735	-	-	-	29,902
არამატერიალური აქტივები	517	93	(21)	-	-	589
ინვესტიციები მეკავშირე კომპანიებში	-	1,032	(1,032)	-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	29,684	1,860	(1,053)	-	-	30,491
მიმდინარე აქტივები						
სასაქონლო მატერიალური მარაგები	2,129	(11)	-	-	-	2,118
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,604	4,668	-	(364)	359	8,267
გადახდილი ავანსები	760	(38)	-	(7)	(715)	-
გაცემული სესხები	325	(48)	-	-	-	277
ფული და ფულის ექვივალენტები	1,264	(2)	-	-	-	1,262
სულ მიმდინარე აქტივები	8,082	3,735	834	(371)	(356)	11,924
სულ აქტივები	37,766	5,595	(219)	(371)	(356)	42,415
კაპიტალი						
საწესდებო კაპიტალი	29,189	3,308	-	-	-	32,497
სხვა კაპიტალი	-	-	(1,032)	-	-	(1,032)
კაპიტალში კონტრიბუცია	-	-	5,077	-	-	5,077
გაუნაწილებელი ზარალი	(75,717)	3,600	26,280	(371)	-	(46,208)
სულ მფლობელის კაპიტალი	(46,528)	6,908	30,325	(371)	-	(9,666)
არამაკონტროლებელი წილი	7,539	721	-	-	-	8,260
სულ კაპიტალი	(38,989)	7,629	30,325	(371)	-	(1,406)

სს „კავკაზ ცემენტი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. წინა პერიოდის კორექტირებები/შეცდომები (გაგრძელება)						
გრძელვადიანი ვალდებულებები						
გრძელვადიანი სესხები	67,919	-	(57,215)	-	21,670	32,374
საიჯარო ვალდებულება	88	(88)	-	-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	68,007	(88)	(57,215)	-	21,670	32,374
მიმდინარე ვალდებულებები						
საგადასახადო ვალდებულებები	1,570	(272)	-	-	-	1,298
მოკლევადიანი სესხები	150	-	26,671	-	(24,395)	2,426
გადასახდელი დივიდენდები	161	234	-	-	-	395
მიღებული ავანსები	542	(193)	-	-	(349)	-
საიჯარო ვალდებულება	80	445	-	-	(525)	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,245	(2,160)	-	-	3,243	7,328
სულ მიმდინარე ვალდებულებები	8,748	(1,946)	26,671	-	(22,026)	11,447
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	37,766	5,595	(219)	(371)	(356)	42,415
აქტივები						
გრძელვადიანი აქტივები						
ძირითადი საშუალებები	26,784	1,038	(300)	-	-	27,522
არამატერიალური აქტივები	374	93	(22)	-	-	445
ინვესტიციები მეკავშირე კომპანიებში	-	1,032	(1,032)	-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	27,158	2,163	(1,354)	-	-	27,967

	31 დეკემბერი 2020	წინა საანგარიშგებო პერიოდის კორექტირებების გაუქმება	იდენტიფიცირებუ ლი შეცდომის კორექტირება	სტანდარტზე გადასვლის ეფექტი	31 დეკემბერი 2020 რეკლასიფიკაცია (გადაანგარიშებული)
--	----------------------	--	--	-----------------------------------	--

სს „კავკაზ ცემენტი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. წინა პერიოდის კორექტირებები/შეცდომები (გაგრძელება)						
მიმდინარე აქტივები						
სასაქონლო მატერიალური მარაგები	2,403	(286)	-	-	-	2,117
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,366	4,476	-	(88)	540	7,294
გადახდილი ავანსები	661	(267)	-	(7)	(387)	-
გაცემული სესხები	28	1,246	-	-	(1,126)	148
ფული და ფულის ექვივალენტები	2,297	(138)	-	-	-	2,159
სულ მიმდინარე აქტივები	7,755	5,031	226	(95)	(1,199)	11,718
სულ აქტივები	34,913	7,194	(1,128)	(95)	(1,199)	39,685
კაპიტალი						
საწესდებო კაპიტალი	29,189	3,308	-	-	-	32,497
სხვა კაპიტალი	-	-	(1,032)	-	-	(1,032)
კაპიტალში კონტრიბუცია	-	-	5,077	-	-	5,077
გაუნაწილებელი მოგება	(89,018)	2,341	34,459	(95)	-	(52,313)
სულ მფლობელის კაპიტალი	(59,829)	5,649	38,504	(95)	-	(15,771)
არამაკონტროლებელი წილი	8,159	879	-	-	-	9,038
სულ კაპიტალი	(51,670)	6,528	38,504	(95)	-	(6,733)
გრძელვადიანი ვალდებულებები						
გრძელვადიანი სესხები	71,746	-	(66,129)	-	27,530	33,147
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	71,746	-	(66,129)	-	27,530	33,147
მიმდინარე ვალდებულებები						
საგადასახადო ვალდებულებები	1,324	(147)	81	-	-	1,258
მოკლევადიანი სესხები	5,405	(2)	26,402	-	(28,247)	3,558
გადასახდელი დივიდენდები	-	418	-	-	(226)	192
მიღებული ავანსები	140	(19)	-	-	(121)	-
საიჯარო ვალდებულება	202	502	-	-	(704)	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,766	(86)	14	-	569	8,263
სულ მიმდინარე ვალდებულებები	14,837	666	26,497	-	(28,729)	13,271
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	34,913	7,194	(1,128)	(95)	(1,199)	39,685

სს „კავკაზ ცემენტი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. წინა პერიოდის კორექტირებები/შეცდომები (გაგრძელება)

	2020	წინა საანგარიშგებო პერიოდის კორექტირებების გაუქმება	იდენტიფიცირე ბული შეცდომის კორექტირება	სტანდარტზე გადასვლის ეფექტი	რეკლასიფიკაცია	2020 (გადაანგარიშებული)
ამონაგები რეალიზაციიდან	54,395	425	-	-	(403)	54,417
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(42,209)	(499)	-	-	242	(42,466)
საერთო მოგება	12,186	(74)	-	-	(161)	11,951
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(4,222)	647	(382)	276	(232)	(3,913)
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი	(6,300)	98	-	-	(114)	(6,316)
სხვა საოპერაციო წმინდა შემოსავალი/(ხარჯი)	-	(271)	-	-	202	(69)
საოპერაციო მოგება	1,664	400	(382)	276	(305)	1,653
ფინანსური შემოსავალი	7	82	-	-	(82)	7
ფინანსური ხარჯი	(4,632)	-	2,079	-	82	(2,471)
საკურსო მოგება/(ზარალი)	(9,131)	-	4,959	-	-	(4,172)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	179	(3)	-	-	(176)	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(418)	(58)	-	-	476	-
მოგება დაბეგვრამდე	(12,331)	421	6,656	276	(5)	(4,983)
მოგების გადასახადი	(89)	-	-	-	5	(84)
წლის სრული მოგება	(12,420)	421	6,656	276	-	(5,067)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის ჯგუფის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2021 და 2020 წლის 31 დეკემბერს და 2020 წლის 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233
2020 წლის 1 იანვარი	2.8677	3.2095

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

ინვესტიციები. არაკონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებში და არადაბრუნებად ჩვეულებრივ ან პრივილეგირებულ აქციებში განხორციელებული ინვესტიციები აღიარდება თვითღირებულებით, გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დავალიანების თანხის სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები.

• **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

• **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

• **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მისი გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	5-20
მანქანა-ანადგარები	5-12
სატრანსპორტო საშუალებები	5-12
კომპიუტერები და საოფისე ინვენტარი	5
ავეჯი	5
სხვა	5-20

არამატერიალური აქტივები.

• **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს ლიცენზიებს და სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

• **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

• **ამორტიზაცია ლიცენზიებზე გამოითვლება** წარმოებული ერთეულის მეთოდით. კომპანია ფლობს ლიცენზიებს რომლის ამორტიზაციის განაკვეთი განისაზღვრება მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის რაოდენობის მიხედვით.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
პროგრამული უზრუნველყოფა	5-10 წელი
ლიცენზია	წარმოებული ერთეულის რაოდენობით

მარაგები. ჯგუფის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები. კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შემენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც ჯგუფმა მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა ჯგუფს. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსის გადაფასება და საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. ჯგუფის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებულ საქონელზე/მომსახურებაზე შეთანხმებული კომპენსაციის თანხას. კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება საიმედოდ შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანია შემოსავლის ძირითად ნაწილს იღებს მომხმარებლისთვის ცემენტის, ბეტონის და სხვა ინერტული მასალების რეალიზაციით, რომელიც აღიარდება მაშინ, როცა ხდება მოცემულ საქონელთან დაკავშირებული კონტროლის მომხმარებლისთვის გადაცემა.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები. ანარიცხები ისეთი ვალდებულებებია, რომელთა დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. საწარმო ანარიცხს აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- (ა) საწარმოს საანგარიშგებო თარიღისთვის აქვს ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად;
- (ბ) მოსალოდნელია (უფრო შესაძლებელია მისი მოხდენა, ვიდრე არმოხდენა), რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გასვლა საწარმოდან; და
- (გ) შესაძლებელია ვალდებულების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვეითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიურ გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.

- ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

- საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

6. ამონაგები რეალიზაციიდან

	2021	2020
შემოსავალი ცემენტის რეალიზაციიდან	39,112	35,725
შემოსავალი ბეტონის რეალიზაციიდან	13,923	13,911
შემოსავალი ინერტული მასალების რეალიზაციიდან	2,299	4,164
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	497	450
სხვა შემოსავლები	132	167
სულ ამონაგები რეალიზაციიდან	55,963	54,417

7. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2021	2020
რეალიზებული ცემენტის თვითღირებულება	(31,061)	(27,564)
რეალიზებული ბეტონის თვითღირებულება	(10,577)	(9,937)
რეალიზებული ინერტული მასალის თვითღირებულება	(1,066)	(1,757)
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,481)	(1,498)
მარაგების გაუფასურების რეზერვის ხარჯი	(197)	(550)
სხვა ხარჯები	(926)	(1,160)
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(45,308)	(42,466)

მარაგების გაუფასურების ხარჯი მოიცავს პერიოდის ბოლოს გაუფასურებაზე შეფასებული მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებებამდე შემცირებას.

სს „ავაკაზ ცემენტი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

8. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი

	2021	2020
გაყიდული საქონლის ტრანსპორტირება	(2,047)	(3,154)
თანამშრომელთა სარგებელი	(1,536)	(1,498)
ცვეთა და ამორტიზაცია	(949)	(971)
საწვავის ხარჯი	(845)	(621)
რეკლამის ხარჯი	(44)	(3)
იჯარის ხარჯი	(27)	-
სხვა ხარჯები	(96)	(69)
სულ რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	(5,544)	(6,316)

9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	2021	2020
თანამშრომელთა სარგებელი	(2,880)	(2,782)
საგადასახადო ხარჯი	(418)	(326)
დაზღვევის ხარჯი	(121)	(102)
ცვეთა და ამორტიზაცია	(119)	(121)
საკონსულტაციო მომსახურება	(100)	(117)
ოფისის ხარჯები	(80)	(69)
საბანკო ხარჯები	(75)	(71)
საპენსიო ხარჯი	(72)	(65)
საწვავის ხარჯი	(55)	(36)
დაცვის ხარჯი	(51)	(51)
კომუნალური ხარჯები	(36)	(16)
კომუნიკაციის ხარჯი	(17)	(17)
სხვა	(52)	(83)
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების (ხარჯი)/აღდგენა	205	(57)
სულ ადმინისტრაციული ხარჯი	(3,871)	(3,913)

10. ფინანსური ხარჯი

	2021	2020
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხის საპროცენტო ხარჯი	(1,041)	(1,066)
დაკავშირებული მხარისგან ნასესხები სახსრები	(1,337)	(1,405)
სულ ფინანსური ხარჯი	(2,378)	(2,471)

სს „კავკაზ ცემენტი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერები და საოფისე ინვენტარი	ავეჯი და ფურნიტურა	სხვა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ ძირითადი საშუალებები
1 იანვარი 2020	11,974	4,833	11,610	9,099	183	36	165	253	38,153
შემოსვლა	29	171	339	718	13	1	27	213	1,511
გასვლა/ჩამოწერა	(14)	(132)	(846)	(531)	-	-	(57)	(18)	(1,598)
31 დეკემბერი 2020	11,989	4,872	11,103	9,286	196	37	135	448	38,066
შემოსვლა	-	217	178	37	9	1	31	175	648
გასვლა/ჩამოწერა	(11)	(16)	(29)	(180)	-	-	-	(315)	(551)
31 დეკემბერი 2021	11,978	5,073	11,252	9,143	205	38	166	308	38,163
დაგროვილი ცვეთა									
1 იანვარი 2020	-	(919)	(3,335)	(3,788)	(140)	(17)	(52)	-	(8,251)
ცვეთის ხარჯი	-	(254)	(1,062)	(1,223)	(15)	(5)	(21)	-	(2,580)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	200	87	-	-	-	-	287
31 დეკემბერი 2020	-	(1,173)	(4,197)	(4,924)	(155)	(22)	(73)	-	(10,544)
ცვეთის ხარჯი	-	(230)	(1,009)	(1,229)	(17)	(5)	(24)	-	(2,514)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	1	85	-	-	-	-	86
31 დეკემბერი 2021	-	(1,403)	(5,205)	(6,068)	(172)	(27)	(97)	-	(12,972)
საბალანსო ღირებულება									
1 იანვარი 2020	11,974	3,914	8,275	5,311	43	19	113	253	29,902
31 დეკემბერი 2020	11,989	3,699	6,906	4,362	41	15	62	448	27,522
31 დეკემბერი 2021	11,978	3,670	6,047	3,075	33	11	69	308	25,191

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 992 ლარის ისტორიული ღირებულების ძირითადი საშუალებები სრულად იყო გაცვეთილი, მაგრამ მაინც გამოიყენებოდა საოპერაციო საქმიანობაში. 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ყველა ძირითადი საშუალება, ჩადებული იყო ბანკისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფაში.

სს „ავკაზ ცემენტი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

12. არამატერიალური აქტივები

	ლიცენზია	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ არამატერიალური აქტივები
1 იანვარი 2020	790	22	812
შემოსვლა	-	-	-
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-
31 დეკემბერი 2020	790	22	812
შემოსვლა	103	-	103
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-
31 დეკემბერი 2021	893	22	915
დაგროვილი ცვეთა			
1 იანვარი 2020	(217)	(6)	915
ამორტიზაციის ხარჯი	(143)	(1)	(144)
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2020	(360)	(7)	771
ამორტიზაციის ხარჯი	(120)	(1)	(121)
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2021	(480)	(8)	650
საბალანსო ღირებულება			
1 იანვარი 2020	573	16	589
31 დეკემბერი 2020	430	15	445
31 დეკემბერი 2021	413	14	427

კომპანიის ფლობს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიას ქვიშა-ლორდის მოსაპოვებლად და კომპიუტერულ პროგრამებს ადმინისტრაციული საქმიანობისთვის.

13. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	1 იანვარი 2020
ნედლეული და მასალები	2,848	2,828	2,497
მზა პროდუქცია	1,045	757	574
საწვავი და საპოხი მასალები	55	57	31
სხვა მარაგები	17	28	18
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	3,965	3,670	3,120
მარაგების გაუფასურება	(1,750)	(1,553)	(1,002)
სასაქონლო მატერიალური მარაგები შემცირებული	2,215	2,117	2,118
ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე			

სს „კავკაზ ცემენტი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	1 იანვარი 2020
სავაჭრო მოთხოვნები	4,353	3,735	4,793
სხვა მოთხოვნა დაკავშირებულ მხარესთან	3,669	3,727	3,489
გაცემული ავანსები	108	103	714
სხვა	197	563	103
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,327	8,128	9,099
ანარიცხი უიმედო და საექვო მოთხოვნებზე	(629)	(834)	(832)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ნეტო	7,698	7,294	8,267

უიმედო და საექვო მოთხოვნების რეზერვის მოძრაობა:

	2021	2020
ნაშთი წლის დასაწყისში	834	832
მოგება-ზარალში აღიარებული რეზერვის ხარჯი	-	65
მოგება-ზარალში აღიარებული რეზერვის რევერსი	(205)	(63)
ნაშთი წლის ბოლოს	629	834

15. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	1 იანვარი 2020
ფული ბაკში ეროვნულ ვალუტაში	641	1,758	1,193
ნაღდი ფული ლარებში	224	401	69
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	865	2,159	1,262

16. კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

საზოგადოების კაპიტალი შეადგენს 31,465 ლარს და დაყოფილია 216,644 ჩვეულებრივ აქციადა. ერთი ჩვეულებრივი აქციის ფასი არის 0.15 ლარი.

2021 წლის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მშობელი კომპანიის მესაკუთრეთა წილობრივი სტრუქტურა არ შეცვლილა, ინფორმაცია კომპანიის მეწილეების შესახებ წარმოდგენილია პირველ შენიშვნაში.

სხვა კაპიტალი

სს „კავკაზ ცემენტი“-მა 2018 წლის 26 დეკემბერს გამოისყიდა 14,428,520 ცალი ფასიანი ქაღალდი (აქცია), რაც შეადგენს აქციათა საერთო რაოდენობის 6,66%-ს, რომლის ღირებულებამ შეადგინა 1,032 ლარი. კომპანია დამატებით გეგმავს აქციების გამოსყიდვას, რომელთან დაკავშირებული პროცესიც 2021 წელს დაიწყო, თუმცა პროცესი გადაიდო 2022 წელს და ჯერ კიდევ მიმდინარეა.

კაპიტალში კონტრიბუცია

კაპიტალში კონტრიბუცია წარმოადგენს სხვაობას დამფუძნებლისგან მიღებული სესხის საბალანსო ღირებულებასა და სესხის დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, ფულადი ნაკადები დისკონტირებულია 4.89%-იანი საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

დივიდენდები

ჯგუფში შემავალმა კომპანიამ შპს „ჯორჯიან ბილდინგ გროუპმა“ 2021 წელს გამოაცხადა 2,120 (ლარი) დივიდენდი, 2020 წლის განმავლობაში გამოცხადებულმა დივიდენდმა შესაბამისად შეადგინა 260 ლარი. დივიდენდის ვალდებულება სრულად მიეკუთვნება ამავე შვილობილის მიერ გამოცხადებულ და გადაუხდელ დივიდენს არამაკონტროლებელი წილის მიმართ.

17. მიღებული სესხები

გრძელვადიანი სესხები

	ვალუტა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	1 იანვარი 2020
ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხები სახსრები	ლარი	3,107	4,903	6,333
ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხები სახსრები	დოლარი	157	930	1,286
დაკავშირებული მხარისგან ნასესხები სახსრები	ლარი	27,659	27,314	24,755
სულ გრძელვადიანი სესხები		30,923	33,147	32,374

მოკლევადიანი სესხები

	ვალუტა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	1 იანვარი 2020
ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხები სახსრები	ლარი	2,309	1,822	2,472
ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხები სახსრები	დოლარი	737	370	614
დაკავშირებული მხარისგან ნასესხები სახსრები	ლარი	442	1,366	(660)
სულ მოკლევადიანი სესხები		3,488	3,558	2,426

კომპანიამ აღებულ სესხებთან დაკავშირებით უნდა დააკმაყოფილოს არა-ფინანსური კოვენანტები, რომლებიც საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დარღვეული არ ყოფილა. ამასთან საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე კომპანიამ სრულად დაფარა ფინანსური ინსტიტუტების წინაშე არსებული სესხი.

18. საგადასახადო ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც შემოღებულია ძალაში შესვლის განსხვავებული თარიღი. ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

სს „ავაკაზ ცემენტი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	1 იანვარი 2020
სავაჭრო ვალდებულებები	2,716	3,142	3,038
სახელოვან ვალდებულება	4,911	4,991	3,915
მიღებული ავანსები	58	83	284
სხვა	158	47	91
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,843	8,263	7,328

20. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში. 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიას არ ჰქონია დაკავშირებულ მხარეებთან არსებული გადაუხდელი ნაშთები და ოპერაციები.

	2021	2020
ოპერაციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან		
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები	798	1,024

21. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად. აქედან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის შექმნილი რეზერვი შესაბამის პირობით ვალდებულებებთან დაკავშირებით.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

22. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა ისეთი მოვლენა რაც მოითხოვს დამატებით ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

სს „კავკაზ ცემენტი“
მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სს „კავკაზ ცემენტი“

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს კავკაზ ცემენტი, საქციო საზოგადოება და მისი შვილობილი კომპანიები (შემდგომში „ჯგუფი“) რომლებიც არიან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, დაარსებული არიან და მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. შპს „კავკაზ ცემენტი“ დაფუძნდა და საქმიანობა დაიწყო 2008 წელს.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით სს „კავკაზ ცემენტის“ მესაკუთრეები არიან:

- შპს „ანოდან ჰოლდინგს ელ.ელ.სი“ – 87.07%
- სს „კავკაზ ცემენტი“ (სახაზინო აქციები) – 6.66%
- ხუნწარია ირაკლი - 3.34%
- ტაბატაძე ნიკა - 0.49%
- როდდიენკო პოლ - 1.56%
- ტაბატაძე სოფიო - 0.49%
- ბიბილეიშვილი ანდრო - 0.39%
- დენის კარლ პრაის - 0.0015%

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით სს „კავკაზ ცემენტის“ დირექტორი იყო ანდრო ბიბილეიშვილი.

კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები:

დედა კომპანიას 2021 წლის განმავლობაში საოპერაციო საქმიანობა არ განუხორციელებია.

ჯგუფში შემავალი შვილობილი კომპანიების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ქვიშა-ღორღის მოპოვება, ცემენტის, ბეტონისა და ინერტული მასალების წარმოება და რეალიზაცია საბითუმო საცალო მოვაჭრეებზე.

კომპანიის შემოსავლები ძირითადი მიმართულებების მიხედვით არის შემდეგი:

	2021	2020
შემოსავალი ცემენტის რეალიზაციიდან	39,112	35,725
შემოსავალი ბეტონის რეალიზაციიდან	13,923	13,911
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	497	450
შემოსავალი ინერტული მასალების რეალიზაციიდან	2,299	4,164
სხვა შემოსავლები	132	167
სულ შემოსავალი	55,963	54,417

არსებული პროდუქტები და მომსახურება, ბიზნეს პროცესები და სადისტრიბუციო მეთოდები.

ჯგუფის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს შპს „ჯორჯიან ბილდინგ გროუპი“.

ამჟამად ჯგუფს მოპოვებული აქვს კასპის რაიონსა და მცხეთის მუნიციპალიტეტში, მდინარე ქსნის ტერიტორიაზე, სოფელ ქსოვრისის, თეზის, ფერმისა და ჩანგილარის ქვიშა-ხრემისა და წყლის მოპოვების ლიცენზიები.

ჯგუფს ძირითად აქტივებად ერიცხება მიწა, ადმინისტრაციული შენობა, საწარმოო შენობები და ცემენტის საწარმოო დანადგარები, სადაც ახორციელებს ცემენტისა და ბეტონის წარმოებას.

ჯგუფის გაყიდვების დიდ ნაწილს შეადგენს ცემენტისა და ბეტონის რეალიზაცია, საიდანაც 90% მოდის მსხვილ სამშენებლო კომპანიებზე, ხოლო 10% საცალო მოვაჭრეებზე.

ბაზარზე ჯგუფი ცემენტისა და ბეტონის რეალიზაციას ახორციელებს როგორც საკუთარი სადისტრიბუციო ქსელის საშუალებით, ასევე სხვა კომპანიებისგან ლოჯისტიკური მომსახურების შესყიდვით.

ჯგუფი ეწევა მიწოდების, პომპისა და ბეტონის ჩასხმის მომსახურებას, აღნიშნული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს მთლიანი რეალიზაციის 0.1%-ს.

სს „კავკაზ ცემენტი“

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ (გაგრძელება)

კომპანიის სტრუქტურა.

კომპანიის გენერალური დირექტორი 2021 წლის 1 იანვრიდან ანგარიშგების მომზადებამდე პერიოდში იყო ანდრო ბიბილეიშვილი. წესდების მიხედვით სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს და ნებისმიერ დროს გამოიწვევს დირექტორებს, ასევე მათთან დებს და წყვეტს ხელშეკრულებებს.

ჯგუფი შედგება დედა კომპანიისგან, სს კავკაზ ცემენტი, ხუთი შვილობილი კომპანიისგან და მეკავშირე საწარმოებისგან:

შვილობილი კომპანია	2021	2020
შპს ჯორჯიან ბილდინგ გროუპ	60%	60%
შპს სურამი სენდს	100%	100%
შპს კავკაზ ცემენტი ჯორჯია	100%	100%
შპს თბილცემენტი	61.8%	61.8%
შპს კავკაზ ცემენტი ვესტ	16.74%	16.74%

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემისას, შპს „სურამი სენდს“, შპს „კავკაზ ცემენტი ვესტ“ და შპს „თბილცემენტი“ არ ფუნქციონირებენ, მეკავშირე საწარმოში არსებული ინვესტიცია გაუფასურებულია.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

2021 წლის შემოსავალმა შეადგინა 56,357 ლარი, რაც 2020 წელთან შედარებით 3%-ით გაიზარდა. აღნიშნული ცვლილება ძირითადად გამოწვეულია რეალიზაციების ზრდით, რაც დაკავშირებულია კოვიდ სიტუაციასთან დაკავშირებული შეზღუდვების მოხსნასთან.

ძირითადი კოეფიციენტები:

	2021	2020
სულ შემოსავალი	55,963	54,417
სულ აქტივები	36,574	39,685
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	143	140
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.77	0.88
მარაგების ბრუნვა (დღე)	17.85	14.20
კრედიტორების ბრუნვა (დღე)	63.18	71.03
დებიტორების ბრუნვა (დღე)	50.21	48.92

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: ჯგუფის პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში მერყეობდა 130-დან 145 მდე. ჯგუფს აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება.

ჯგუფის სპეციფიკიდან გამომდინარე, პრიორიტეტულია თანამშრომელთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვა. ამ მიზნით, ჯგუფის საქმიანობა ყოველთვის მიმდინარეობს უსაფრთხოების უმაღლესი სტანდარტების და ნორმების შესაბამისად. ჯგუფის მენეჯმენტი და დამფუძნებლები პასუხისმგებლობით უდგებიან ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე არსებულ რისკებს და მუდმივად ზრუნავენ თანამშრომლების პროფესიონალიზმის ამაღლებაზე რათა უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკაში მოქმედი სტანდარტების და პროცედურების დაცვა.

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები

ცემენტის წარმოებისთვის მნიშვნელოვანი კომპონენტია კლინკერი, რომლის უმსხვილესი იმპორტიორი საქართველოში შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიაა“. ჯგუფი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული აღნიშნულ მომწოდებელზე, თუმცა აღნიშნული ფაქტი არ წარმოადგენს ჯგუფისთვის რისკს, რადგან მას შეუძლია აზერბაიჯანიდან იმპორტირებული კლინკერის წილის მნიშვნელოვნად გაზრდა.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: ჯგუფი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არ ხვდება დამატებით რომელიმე სახელმწიფო უწყების რეგულირების სფეროში.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

ჯგუფის მთავარ მიზანს წარმოადგენს ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება, არსებული მომხმარებლების კმაყოფილებაზე ზრუნვა და ჯგუფის გრძელვადიანი სტრატეგიის ჩამოყალიბებაში ტექნოლოგიური სიახლეებისა და ბაზრის არსებული კონიუქტურის გათვალისწინება.

ჯგუფის სამომავლო გეგმებში ძირითადი მიმართულებებია:

ახალი მომხმარებლების მოზიდვა

ჯგუფი მუდმივად ცდილობს გააუმჯობესოს მომსახურების ხარისხი და შესთავაზოს ხელსაყრელი კომერციული პირობები არსებულ და პოტენციურ მომხმარებლებს, რათა მოხდეს მომხმარებელთა ახალი სეგმენტის მოზიდვა და შესაბამისად რეალიზაციის მოცულობის ზრდა.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2021 წელს ჯგუფი არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2021 წელს არ მომხდარა ჯგუფის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

ფინანსური ანგარიშგების არე	2021	2020
გრძელვადიანი სესხები	30,923	33,147
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,843	8,263

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:

ჯგუფი ძირითადად საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, ჯგუფის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

	2021	2020
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,688	3,729
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	18.7	15.9
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	5,015	4,275
მშპ-ის რეალური ზრდა, %	10.4%	(6.2%)
საშუალო წლიური ინფლაცია	12.8%	5.2%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	1 152.8	616.9
უმუშევრობის დონე, %	20.6%	18.5%

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

ჯგუფს გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ჯგუფის მიერ საქონლის/მომსახურების კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. ჯგუფის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე, თუმცა არსებითად არის დამოკიდებული ბაზრის მსხვილ მოთამაშეებზე. ბიზნესის რენტაბელობა რა თქმა უნდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სტაბილურ სავალუტო კურსზე და ეკონომიკურ გარემოზე რაც მნიშვნელოვანი ფაქტორებია კომპანიის არსებული კლიენტებისთვის. ჯგუფი მომხმარებლებს სთავაზობს როგორც კრედიტით გაყიდვებს ასევე საავანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და კომპანიის შესაბამის პოლიტიკაზე.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. ჯგუფის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარსა და ევროში რაც წარმოიქმნება ერთი მხრივ უცხოურ ვალუტაში მოზიდული რესურსებით და მეორეს მხრივ უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე.

საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს მენეჯმენტი არ განიხილავს მნიშვნელოვან რისკ ფაქტორად.

კაპიტალის მართვა

ჯგუფის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 21 ნოემბერს:

ანდრო ბიბილეიშვილი
დირექტორი

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

	2021	2020
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,688	3,729
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	18.7	15.9
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	5,015	4,275
მშპ-ის რეალური ზრდა, %	10.4%	(6.2%)
საშუალო წლიური ინფლაცია	12.8%	5.2%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	1 152.8	616.9
უმუშევრობის დონე, %	20.6%	18.5%

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

ჯგუფს გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ჯგუფის მიერ საქონლის/მომსახურების კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. ჯგუფის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე, თუმცა არსებითად არის დამოკიდებული ბაზრის მსხვილ მოთამაშეებზე. ბიზნესის რენტაბელობა რა თქმა უნდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სტაბილურ სავალუტო კურსზე და ეკონომიკურ გარემოზე რაც მნიშვნელოვანი ფაქტორებია კომპანიის არსებული კლიენტებისთვის. ჯგუფი მომხმარებლებს სთავაზობს როგორც კრედიტით გაყიდვებს ასევე საავანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და კომპანიის შესაბამის პოლიტიკაზე.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. ჯგუფის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარსა და ევროში რაც წარმოიქმნება ერთი მხრივ უცხოურ ვალუტაში მოზიდული რესურსებით და მეორეს მხრივ უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე.

საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს მენეჯმენტი არ განიხილავს მნიშვნელოვან რისკ ფაქტორად.

კაპიტალის მართვა

ჯგუფის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 21 ნოემბერს:

ანდრო ბიბილეიშვილი